სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.

ცალკე ნომერი 3 კაპიკი

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцел" Гифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства. Телефонъ № 363

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 19 ნოემბერს

ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

— პირველად განახლების შემდეგ —

### ალერსთა ბალე

კომედ. 4 მოქმ. გადმოქართულებული პ. უმიკაშვილის მიერ

დასასრულ

### დემონი

სცენა ლექსად თარგმანი მ. გურიელისა

მოთამაშენი: ქ.ქ. ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი, აბაშიძისა, წერეთლისა, გარელი, აბდუშელი; ბ.ბ. აბაშიძე, მესხი, კანდელაკი, იმედაშვილი, იმერიძე და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი

**ადგილების ფასი დაკლებულია**—ლოჟები ლიტერისა 9 მან., ბენუარისა 6 მან., პირდაპირი 4 მ. 50 კ., გვერდისა 3 მ. 50 კ. ამფითეატრი 50 კ. პარტერი: სკამი 1 რიგისა 3 მ.; 2 და 3 რიგისა 2 მ.; 4 და 5—1 მ. 50 კ.; 6, 7, 8 და 9—1 მ. 20 კ.; 10, 11 და 12—1 მ.; 13 და 14—80 კ.;—15 და 16—60 კ. გალერეა: პირდაპირი I რიგ. 40 კ., დან[illegible] 35 კ. გვერდისა I რიგ. 35 კ. დანარჩენი 25 კ.

იბეჭდება და მალე გამოვა

### შიო არაგვისპირელის მოთხრობანი

1899 წლისათვის ვაპირებ გამოცემას

**ჯიბის წიგნისას კალენდრით**

რომელიც დაიბეჭდება რიცხვით 5000-მდე. ვიღებ განცხადებებს პირველ გვერდზე—5 მან., უკანასკნელზე—2 მან.

ადრესი. *Квирилы. Ивану Ардишвили.* (15—3)

### შპალერების საწყობი
### ი. გ. მელიქიშვილისა

ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102

ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი

ფასი ყველაფერზე იაფია

შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე

ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასაწყობი სამკაულები.

**Депо обоевъ**

**I. Г. МЕЛИКОВА**

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100—82)

### ექიმი
### კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.

Докторъ К. И. Гдзелишвили.

Михайловская, противъ кирки. (100—59)

სამკურნალო და ამბულატორია

### ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ბერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორია ი არის კაბინეტია საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო [illegible]ირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

### ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ

**БЕНКЛЕВСКІЙ**

Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (ჟ.)

## ახალი ამბავი

*** ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა.

*** ცხენის რკინის გზის საქმე. ქალაქის საბჭომ საბოლოოდ განიხილა უსახელო საზოგადოებასთან მოსახდენი ხელ-შეკრულობის პროექტი, მოიწონა და გამგეობას დაავალა შეეკრას ამ ხელ-შეკრულობით საზოგადოებას.

*** ბავშვთა თავშესაფარი ავლაბარში. ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოების გამგეობამ იჯარით აიღო ავლაბარში ბეგლიაროვის სახლი, რომელშიაც უნდა გაიხსნას ბავშვთა თავ-შესაფარი.

*** ახალი ქარხანა. ჩვენ გავიგეთ, რომ ტფილისში მოვიდა რამდენიმე გერმანელი კაპიტალისტი, რომელთაც განზრახვა აქვთ დააარსონ აქ ზეთის სახდელი ქარხანა (ზავოდი), ბამბის კურკიდან ზეთის გამოსახდელად.

*** დუქნების აღება. კახეთის მოედანზე ავლაბარში, 15 ნოემბერს, ბოქაულის განკარგულებით აღებულ იქმნა ყველა ის დუქნები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ეტლების თავისუფალ მოძრაობას და ამასთან აბინძურებდნენ მთელ მოედანს. მოედანზე დეზინფექცია მოახდინეს და მოაშორეს მას აგრეთვე ურმები და სხვა ეტლები.

*** ო. ი. ფელდმანის რეფერატი. 20 ნოემბერს ოლქის სასამართლოს დარბაზში, სადაც იურიდიული საზოგადოება მოსამსახურე პირთ აირჩევს მომავალ წლისთვის, ო. ი. ფელდმანი წაიკითხავს რეფერატს შესახებ „ჰიპნოტიზმისა და ჩაგონებისა სამართალში". ბ. ფელდმანის მოძღვრების შესახებ, რომელსაც ამ ჟამად მთელი განათლებულ ქვეყნის ერების ყურადღება აქვს მიქცეული, ჩვენ უკვე ცნობები გვქონდა და დღესაც გვაქვს მოყვანილი ჩვენს გაზეთში.

*** ტფილისის სახელოსნო სასწავლებელი. ამ სასწავლებლის დირექტორს ბ. ვ. თ. დანილოვს მოწაფენი დიდად ემადლიერებიან, ნამეტურ იმ მის განკარგულების გამო, რომლის ძალით სასწავლებლის ეკონომი ვალდებულია გაუგზავნოს სადილი სახლში ავადმყოფ მოწაფეთ, მაგრამ რამდენადაც მოწაფენი დირექტორს ემა-

დლიერებიან, იმდენათ უკმაყოფილონი არიან ეკონომისა, რადგან ეს უკანასკნელი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ზემოხსენებული განკარგულება სისრულეში არ მოიყვანოს.

*** **კახეთის მეთამბაქოეთა საქმე.** კახეთის მეთამბაქოენი გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაუყენებია კავკასიის თამბაქოს ქარხნის პატრონთა გაფიცვას, რომელნიც მათ თამბაქოს ღირებულების ნახევარზე მეტს არ აძლევენ. 4 ნოემბერს სიღნაღში მეთამბაქოეთ კრება მოახდინეს, რომელზედაც გადასწყვიტეს დაარსონ ტფილისში თამბაქოს საწყობი და სთხოვონ რომელსამე საკრედიტო დაწესებულებას სესხი საწყობის საქონლის დაგირავებით.

*** **ახალი დანიშნულება.** როგორც ისმის, ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკის როტმისტრი ალტუხოვი დანიშნულია ქუთაისის გუბერნატორთან საგანგებო მინდობილებათა ოფიცერად.

*** **ს. მილილოვის საქმე.** 16 ნოემბერს სამოსამართლო პალატამ განაჩინი წაუკითხა მილილოვს, რომელსაც ბრალდება, რომ 1891 და 1892 წ. ის სხვა პირთა შემწეობით ცდილობდა 40,000 მანეთის გადახდევინებას იმ ვექსილით, რომელიც 26 აპრილს 1884 წ. გრიგოლ მირზოევმა მისცა თვისი და თვის ძმის სახელით ალექსანდრე მანთაშევს; ამასთან მილილოვმა იცოდა, რომ ვექსილით ფული უკვე გადახდილი იყო და შემდეგ-კი გრიგოლ მირზოევს ეს ვექსილი დაეკარგა. ოლქის სასამართლომ 1896 წ. 19 დეკემბერს ამ საქმის თაობაზე მიუსაჯა ბრალდებულს ყველა უფლება უპირატესობათა ჩამორთმევა და ტუსაღთა ზნეობის გამასწორებელ განყოფილებაში ერთის წლით და ოთხი თვით ყოფნა. ამ განაჩენზე მილილოვმა სააპელაციო საჩივარი გადაიტანა სამოსამართლო პალატაში. პალატამ მილილოვი დამნაშავედ სცნო მხოლოდ ვერაგობაში (მაშენიკობაში) და მიუსაჯა მას ყოველგვარ უფლება — უპირატესობის ჩამორთმევა და დატუსაღება სამი თვით და 16 დღით.

*** **ქუთაისი.** ამინდები. 8, 9 და 10 ნოემბერს აქ საშინელი ძლიერი ქარი ჰქროდა; ქარმა დიდი ზარალი მისცა ქალაქს: ბევრს სახლს მოჰგლიჯა სახურავი, ბევრს კედელი დაუნგრია, ბევრი ფარანი დაამტვრია, სხვათა შორის დაზიანა ჯაიანის სახლიც, სადაც მოთავსებულია სათავად-აზნაურო სკოლა: ღამის ათ საათზე ქარმა ერთ ოთახს მოაგლიჯა სახურავი და ეზოში გადასტყორცნა. ეკიმნაზაროვის ეზოში აგურის გრძელი კედელი მოარღვია, ძირს დასცა და მშვენიერი ნამყენები წაუხდინა

— **სააზნაურო სკოლის დათვალიერება გუბერნატორის მიერ,** 12 ნოემბერს ქუთ. სათავ-აზნაურო სასწავლებელში მობრძანდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ბ-ნი გერშელმანი, რომელსაც თან ახლდა პოლკოვნიკი ბარათაშვილი. გუბენატორმა დაათვალიერა ყველა კლასი თვითეულს მათგანში 10--15 წამი დარჩა და მოისმინა გაკვეთილები, წასვლის დროს ინსპექტორს უთხრა, რომ შემდეგ კიდევ ვინახულებ სასწავლებელს და უფრო დიდ ხანს დავრჩები თვითოეულს კლასშიო. („ივერია“)

*** **ოზურგეთი.** ჩვენი საქმიანობა. ოზურგეთში ბევრი საქმე დაიწყეს და ბევრს ეხლაც ეპოტინებიან, მაგრამ არ იფიქროთ, რომ რომელსამე საქმეს ბოლო მისცემოდეს. აირჩევენ მეთაურს და ხელად გაზეთში გამოაცხადებენ, ესა და ეს საქმე გავაკეთეთ, ჩვენისთანა ბედნიერები ვგონებ ამერიკელებიც არ იყვნენო, ყველა სიხარულს ეძლევა. გაზეთში დაწყებულ საქმეს ქებით იხსენიებენ, მორჩა და გათავდა. ამის შემდეგ-კი საქმეს უკუ აგდებენ, თითქო საქმე გასაკეთებლად საკმარისი იყოს ქვეყანას აუწყო მისი დაწყება და მერე სხვა საქმეს შეეპოტინებიან. აი მაგალითები: ამას წინად ოზურგეთმა აუწყა საზოგადოებას სამეურნეო სასწავლებელი გავხსენით და გავბედნიერდითო. მაგრამ ეს სასწავლებელი დღეს „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“... შემდეგ ოზურგეთმა საქვეყნოდ განაცხადა: ბიბლიოთეკის შენობა დავიწყეთ და მასთან თეატრისაცო, მაგრამ ეს შენობაც არ მომკვდარა, მხოლოდ დალპა... მას უკან განაცხადეს: აქ ლაბორატორია გავხსენით და ამა და ამ საათზე ღებულობს ავადმყოფს ესა და ეს ექიმიო, მაგრამ ლაბორატორიამაც ლამის არის თქვენი ჭირი წაიღოს... ოთხი ექიმის ადგილზე ერთი ფერშალია, რომელიც მედიცინის ფერშლის სახელს ატარებს; ეს ის მედიცინაა, რომელიც მან მესამე დრუჟინის მე-4 როტის საფერშლო ლაზარეთში შეისწავლა სამხედრო სამსახურის დროს, შემდეგ-კი ს. ნიგოითში დაბინავდა, მაგრამ იქ ექიმბაშობა არ გაუვიდა, სოფლის განაჩენით გამოძევებული იქმნა და დღეს-კი ჩვენს ლაბორატორიაში ექიმბაშობს!

გარდა ამისა, ოზურგეთმა განუცხადა საზოგადოებას, ყველანი ვალდებულნი ხართ თქვენს წინ გზის პირები გასწმინდოთო. მოვაჭრეებს კი თითოეული დაბეჭდილი ბარათები დაურიგდა, რომლებითაც უცხადებდა, თუ თქვენი დუქნების წინ ქვა-ფენილებს შეაკეთებთ, თვით ქალაქის მმართველობა გააკეთებინებს და მეპატრონეებს ორი წილი გადავახდევინებთო, მას შემდეგ თითქმის წელიწადია და ჩვენ ვხედავთ ისევ იმ მინგრეულ-მონგრეულ ჩაშვებულს ქუჩებს და ქვაფენილებს და ერთ ადგილზე კი (ყასბების ქუჩაზედ) თვით გუბერნატორიც კი კინაღამ ფათერაკს შეეყარა

ვ. მეთვალყურე

*** **ს. გუფთა** (გორის მაზრა). ქურდობა. რაკი დადგება ენკენისთვე და აგრილდება, ლიახვის ხეობაში დაიწყებენ ქურდ-ბაცაცა ნათლია ოსები თარეშობას. „ეხლა ხორცი გემრიელია, სენმაზემა“, პირის წყლაპუნით გეუბნევა ნათლია ოსი; მას ძალიან უყვარს ასოასო აჩეხვა მოპარულ საქონლისა, ქურდობა მათში სრულიად სირცხვილი არ არის, არამედ ვაჟკაცობა და გამბედაობაა. ეს ხალხი თითქმის ერთ ქურდების საზოგადოებას შეადგენს. ამათგან ქურდების გაცემა შეუძლებელია, თუ გამოვა მთხრობელი, ისევ ქურდების, თავის ამხანაგების სასარგებლოდ; ბევრჯელ მომხდარა და ხდება, რომ თვითონ ქურდი მიდის საქონლის პატრონთან და უამბობს: „მე ვიცი შენი წაბლა ხარი ვისაცა ჰყავს, ერთი ორიოდე თუმანი ნახე და მე გაჩვენებ, ქურდიც დავიჭიროთ და ხარიც მოვიყვანოთ“. საწყალი გულხელ-დაკრეფილი დამკარგველი ევაჭრება მთხრობელს, გაურიგდება თუმნად ან თხუთმეტ მანათად, კარგათ გაუმასპინძლდება მოამბეს, დალევს მის სადღეგრძელოს. ქურდი ელაპარაკება თუ როგორ უნდა მიუცვინდნენ ქურდებს სახლში, ან ხარი როგორ იპოვონ და ქურდებიც რანაირად ჩაიგდონ ხელში. მოამბე წინდაწინვე გამოართმევს და გაუდგებიან გზასა. რა შევლიან ტყეში ან ხევში ბილიკებსა, წაბლა ხარიც წინ მიეგებებათ, გაეხარდება დამკარგავს, დაუკოცნის მუშა ხარს თვალებსა და ემშვიდობება მადლობით მთხრობელოს, რომელსაც ამის შემდეგ ხარის პატრონის კერასთან აქვს ბინა თავის ამხანაგებით, სანამ კიდევ მოჰპარავდეს რისმე და ამას მასპინძელი წიუხვლდებოდეს.

მოპარვის უმალ ძროხა ბევრჯელ იკვლება გზაშივე და სადმე მიყრუებულ ადაგას, ჩიჩიახთვის სრინტ-წასული ქურდები, ძროხის ფაშვში მოხარშვენ მის ხორცს.

შემოდგომაზე აქ იციან ყოველნაირი ხარჯები, მაგალითად: წირვები, სამღთოები, ქორწილები და სხვ. სადაც მრავალი მოპარული საქონელი იკვლის, ლიახვის ხეობაში გუჯარეთიდან გადარეკილი და გუჯარეთში ლიახვის ხეობიდან. ქურდები ისე არიან დახელოვნებულნი, რომ დღისით გზაზედაც კი არ ერიდებიან ქურდობას. ახლახან, ამ თვის ცხრაში ერთ ღარიბ ძარელ ოსს ნ. ქოჩიშვილს ულელი ხარი მოუდიოდა ჯავიდან შინისკენ. ტალახისაგან ძველი ქალამნები დასცვინოდა და ს. გუფთაში რომ ჩამოვიდა, ლაიძრო ფეხიდან დახეული ქალამნები და ბლანდვა დაუწყო. ზევიდან მოდიოდა ერთი კაცი, რომელმაც ქოჩაშვილს ჩვეულებრივ სალამი მისცა და ვინაობა გამოჰკითხა, შემდეგ ქოჩოშვილიც დაეკითხა მას მისი ვინაობის შესახებ. უცნობმა უპასუხა, მონასტერში ვდგევარ და ნიკო ცხოვრებაშვილს მეძახიანო. ბოლოს უთხრა, მაინც ქვევით მივალ, ხარებს მე გავირეკავ და შენც მამეწიეო, საწყალი ნ. ქოჩიშვილი დასთანხმდება და ცხოვრებაშვილი გაირეკავს ხარებს. რა ჩაიცვამს ქალამნებს, გაუდგება გზას, მაგრამ ვერც ხარებსა და ვეღარც ოსს ვეღარ ნახავს, გაუსკდება გული, აქეთ ეცემა, იქით, მაგრამ ვეღარ იპოვის და მოვა მონასტერში, სადაც ოსი ეგულება. მივა ცხოვრებაშვილის კარებზე, დაუძახებს სახლის პატრონს; ისიც გამოვა, მაგრამ ის კი არ აღმოჩნდება, ვინც ხარები გამორეკა. ქოჩაშვილი ეკითხება: რა უყავ ჩემი ხარები რომ გამოგატანეო? „რა ხარებიო“? დაიწყებენ ლაპარაკს და საქმე ბოლოს სასუდია-მამასახლისოდ გადაექცევა. რაკი ცხოვრებაშვილს ვერ გასტეხავს და ვერც სცნობს, მერე ხელს მოავლებს იქ მყოფ კავკაზა ცხოვრებაშვილს და ეუბნევა: „შენ იყავი შენ ჩამოიარე მაშინ! ან მოიყვანე ქურდი, ან არა და შენ თვითონ ხარ ქურდიო, ჩემ ქურდსაც თეთრი ჩოხა ეცვა და შენც თეთრი გაცვიაო და სხვ.“ ჩივიან და არ ვიცი რა იქნება. საზოგადოდ წრეულ საქონელი ბევრი დაიკარგა ლიახვის ხეობაში, ნამეტნავად მარცხენა მხარეს მდებარე სოფლებში. ქურდობა შესამჩნევად მატულობს ოსების დასახლების გამრავლებასთან ერთად ქართლის სოფლებში.

— **ოსური დღეობები.** წმ. გიორგობა, ყველა წმინდანებზე წმინდა გიორგის ნამეტნავად პატივს სცემენ ოსები. დალხინებისა, გაჭირვებისა თუ ქურდობის დროს წმ. გიორგის სახელს ახსენებენ. ოსურად მას ეძახიან, „ვასჯირჯი“ ანუ „ვასგირგი“. დიდის ამბით ეგებებიან წმ. გიორგის დღეობას ათ გიორგობისთვეს; თავ-შერუჯული ზვარაკი ყველა უნდა დახოცან,

ლუდი მოხარშონ, თაფლი გამოიღონ სკებიდან და დღეობისთვის მოემზადონ. ათში გასწევენ გერის წმ. გიორგში სალოცავად, რომელიც მაღლა მთაზეა აგებული და დიდი აღმართია ასავლელი. მშვენიერი სანახავია ეს ადგილი, როდესაც დარია და გზა გამშრალია: აუარებელი მლოცავი ქალი თუ კაცი, ფერადათ მორთულნი სუფრებით ხელში „მუზიკის“ კვრით და სიმღერა-ლოცვა-ვედრებით შეეფინებიან აღმართსა. წითელ-ყვითელში მორთული ქალები სულ ოწიალით ცეკვით ხვდებიან და დანიშნულ ადგილს მივლენ, სადაც პატარა ეკკლესიაა აშენებული „გერის წმ. გიორგის“ სახელობაზე. ეკკლესია მაღლა სერზეა და წინ კარგი მოზრდილი ვაკე ადგილი აქვს. დეკანოზები (მოხუცი ოსები) ამწყალობებენ ხალხსა. ალხი მოწიწებით ლოცულობს, ის შემდეგ დაიწყებენ სხვა და სხ ამაშობით და სიმღერებით დროს გატარებას, ყველა მხრიდან მოისმის „ვასჭირჯის“ სიმღერა, (სიმღერა წმ. გიორგის სახელის სადი ლოდ და სავედრებლად). ამ ვე იმართება ცხენების ჯი და ცხენზე თამაშობა. ჩხუ ი და სხვა ცუდი საქმის ჩადენას გერის კარებზე ვერავინ გაბედავს. დიდათ პატივცემულია ეს ადგილი ოგორც ოსებისაგან, ისე ქართველებისაგან. რაკი მაღლა დიშლე ა ერი, ისევე სიმღერითა და ცეკ ით ჩამოივლიან აღმართსა და რუნდებიან სახლებში, სადაც სმენ, სჭამენ და დროს ატარებენ სანამ მომზადებულ სურსათს სრულიად შესჭამენ.

სამაჩაბლოელი

* * * დ. აბაშა (სამეგრელო) უბრალებელი ადამიანი. დ. აბაში ან 6 ვერსის სიშორეზე, ს. საქილაოში, რკინის გზამ კორძაიას მამული შეისყიდა, რომ იქიდგან გაზიდული მიწით ამოაშროს და გაავსოს ქალადიდის ჭაობიანი ალაგები, რომელიც დიდი ყინვების როს ზიანდება ხოლმე. ეს საქმე აც რუს-ებრაელმა აიღო და ბს უფროსად დაუყენა ადგი ვი მცხოვრები ფრანგიშვი ეს უკანასკნელი ვაჟბატონი ე უღიერად ეპყრობა მუშებს: ების მიცემის დროს ყველა ას თითო აბაზს ახდევინებს,— ედავად იმისა, რომ თვეში ონ ხუთ თუმანს იღებს. საწ მუშამ დღეში სამი ვაგონი დატვირთოს 70 კაპ. თუ აბა უფროსმა წაართვა რაღა დარ ება? თუ ხსენებულ ფრანგიშვილს თო მუშამ აბაზი არ მისცა, მეო დღეს დაითხოვს მას და მის მუშაო იარაღს სხვას გადასცემს. ჭიროა ასეთ საქციელს ყურადღება მიექცეს, რომ უბედური მუშა, რომელიც გარდა ოჯახის აუტანელ ტანჯვისა, ვეღარ აკმაყოფილებს მრავალ გარდასახადს, ამ გარეთ სიმწრის ოფლით ნაშოვარ ფულს მაინც უსამართლოდ ხელიდან არ აცლიდნენ!

ვინც უნდა ვიყო

## სამეცნიერო ცნობა

იდუმალი ძალა.*) ტერაპია (ერთგვარი წამლობა) ჰიპნოტიზმის დახმარებით, განაგრძო ბ. ფელდმანმა, დღითი დღე სისრულეში მიდის, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. ბევრი სამკურნალოები არსებობს ეხლა, სადაც სპეციალურად ჰიპნოტიზმით კურნავენ სნეულებს. საფრანგეთში, ქ. ნანსის სამკურნალოში პროფესორი ლიებო ბერნჰეიში სპეციალურად ჰიპნოტიზმით არჩენს ავადმყოფებს და დიდ გასაოცარს წარმატებითიმოქმედებასაც ახდენს.

რა სნეულებას უფრო ჰკურნავს ჰიპნოტიზმი? შევეკითხე ბ. ფელდმანს.

უმთავრესად ისტერიკითი ავადმყოფობას, ნერვებისას, იმ შემთხვევაში თუ ავადმყოფობის საფუძველში ორგანიული ცვლილება არ არის.

— სულით ავადმყოფობას? — შევეკითხე კიდევ.

— აუცილებლივ გვარიანად არჩენს სულით ავადმყოფობას და განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სნეული შეპყრობილია ტანჯვით და აზატობის სისუსტით. სხვათა შორის, შესამოწმებლად მოვაგონე ბ. ფელდმანს შემთხვევა ქ. კოვნაში, სადაც სნეული ქალი მოარჩინა.

— მართალია, მე მოვარჩინე სამკურნალოში ერთი ქალი, რომელსაც ორივე ფეხების სიდამბლე ჰქონდა. იდუმალმა შთაგონებამ ავადმყოფ ქალზედ თორმეტ წლამდის იმოქმედა. მხოლოდ ამ წელს, მაისში მე მაცნობეს, რომ ქალი ისევ შეეპყრო სნეულებას, მე გაუგზავნე ჩემი ფოტოგრაფიული სურათი იდუმალის შთაგონების ზედ წარწერით და ასრულდა კიდეც ისე, როგორც მე მინდოდა.

— ერთი მითხარით, ხშირათა გაქვთ ხოლმე მაგნაირი შემთხვევა, თუ არა?

— ხშირათ. როდესაც ავადმყოფს ხელსა ვკიდებ და ვარჩენ, მაშინვე იდუმალისავე შთაგონებით უნერგავ გულში, რომ იგი სრულიად ემორჩილოს ჩემს წერილითი შთაგონებასაც. ამას მე აუცილებელს საჭიროებათა ვსთვლი. როდესაც რომელიმე სნეულზედ ჰიპნოტიზმიურს საშუალებას ვხმარობ, მაშინ იგი სრული ჩემი მორჩილია და მაშასადამე ის ყოველივე შემთხვევაში მზად არის შეასრულოს ჩემი გულის განზრახვანი, რასაკვირველია, რაც იმის სნეულებას შეამსუბუქებს. ამ გვარად პაციენტი მემორჩილება, თუ მთელი მისი სიცოცხლე არა, მაინცა და მაინც ძალიან დიდის ხნობით.

ეს შემთხვევა იმ მოსაზრებით არის გამოგონილი, როდესაც რომელიმე მიზეზებისა გამო არც მე შემიძლიან სნეულთან მისვლა და ვერც იმას ჩემთან მოიყვანენ.

როდესაც ვაძინებ სნეულს და ჰიპნოტიზმიურს საშუალებასა ვხმარობ, მაშინვე იდუმალის შთაგონებით ვასმენ და უნერგავ გულში ჩემს ხელის მოწერას, რომ, როდესაც მიუვიდეს წერილი, ან ჩემი ფოტოგრაფიული სურათი ზედ წარწერით, მაშინვე გაახილოს თვალი, იცნოს და ყოველივე წერილში ნათქვამი შეასრულოს, მხოლოდ როცა მინდა დეპეშით გაიგოს, მაშინ დაძინების დროს ვასმენ რაიმე სათუო სიტყვას, ნიშანს, რამწამს მიიღებს თუ არა მაშინვე დაუყოვნებლივ ასრულებს ჩემს მოთხოვნილებას და განცხადებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში ძალიან სიფრთხილე უნდა, რომ ეს ნიშანი გარეშე პირთ არ იცოდნენ, რადგანაც შეიძლება ავადმყოფზედ სიბოროტ-განზრახვით იმოქმედონ და ამიტომაც დეპეშით მოქმედებას იშვიათ შემთხვევებში ვხმარობ, მხოლოდ წერილით კი არავითარის ვნების და ბოროტ-განზრახვის ჩადენის შიში არ არის.

რომ უფრო ადვილად მიხვდეს სნეული ჩემს მიწერილს წერილს ფოტოგრაფიულ სურათზედ დავაწერ ხოლმე. ამ გვარი საშუალება უფრო დიდს შთაბეჭდილებას ახდენს. როგორც ხედავთ აქ ძალა ფოტოგრაფიულს სურათს კი არა აქვს, არამედ იმ საიდუმლო შთაგონების წარწერას, რომელსაც სნეული კითხულობს.

აი, ამ რიგათ მოგვითხრობს ბ. ფელდმანი ჰიპნოტიზმის, „საიდუმლო ძალის“ მნიშვნელობას და ადამიანის სხეულზედ ზედ გავლენას; ვსწუხვართ, რომ ჩვენში ძალიან ცოტანი არიან იმისთანა პირნი, რომლებიც ამ საინტერესო საგნის შესწავლას ცდილობდნენ.

ივ კავთელი

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 680.

## სხვა-და-სხვა ამბავი

მანქანების ლამპა. ერთმა ამერიკელმა მეცნიერმა, ნიკკონმა გამოიგონა მეტად გასაოცარი ლამპა. ლამპა სულ უბრალოდ და შესდგება მაგრად ჩარმოკრული შუშისაგან, შიგ არის მოთავსებული ერთგვარი ქიმიური სხეული, რომელიც ენთება და მშვენივრად ანთქებს. ლამპა ადვილად არ გაქრება, თუ შიგ ჰაერს არ ჩაუშვებთ. ამნაირი ლამპა, შეიძლება თურმე ჯიბითაც ატარონ კაცმა, რადგანაც იმის შუქი სიხოვლეს და სითბოს მოკლებულია. ამ ლამპის უპირატესობა სხვა დანარჩენ ჩვეულებრივ ლამპებთან იმაში მდგომარეობს, რომ არც ნავთი უნდა, არც ბენზინი და არც სხვა ასანთები სითხე.

—

ფარან-ბუფეტი. ლონდონში, ეგრედ წოდებულ ლესტერ-სკვერის ქუჩაზე დადგეს ერთი გასაოცარი ფარანი, ზედა ნაწილი ამ ფარნისა გასაოცარს არას წარმოადგენს, ხოლო ქვედა ნაწილი კი კაცს ბუფეტის განჯინას მოაგონებს. კარედან რომ ჩააკვირდეთ, არაფერი არა ჩანს: არც სასმელი, არც საჭმელი, მხოლოდ გამოშვერილია რამდენიმე მილი, რომლებზედაც ჩამოკიდებულია ფინჯანი. ფარანს ემსახურებიან მოსამსახურე ბიჭები. მათ მისცემთ დაწესებულ ფასს და ფარანი გადმოგაწოდებთ ყავას, კაკაოს, ჩაის, ბულიონს და ან უბრალო ცხელ წყალს. გარდა ამისა იქვე ისყიდება მშვენიერი სათოსტო ქაღალდზე დახატული ქ. ლონდონის და ამავე შესანიშნავი ფარნის სურათი. ამ ფარნის დადგმის დღეს იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ ქუჩები ვეღარ იტევდა, პოლიცია ძლივს აშორებდა.

## წვრილი ამბავი

ტელეფონის გაუმჯობესობა. ტელეფონის ტარის ხელში დაჭერა და ისე სიტყვების მოსმენა მეტად უხერხულია, მეტადრე თუ ადამიანს წერაც სურს. ამ მოსაზრებით ეხლა ახალმა ტეხნიკოსებმა გამოიგონეს ახალი საშუალება: ტელეფონს აქვს ისეთი კავიანი ტარები, რომ ადამიანს შეუძლიან ყურზე გაიკეთოს და ხელი არ მიაშველოს. მაშინ ორივე ხელი თავისუფალი რჩება და ტელეფონიდან გაგონილი სიტყვების დაწერაც ადვილია.

### ყურმოკრული საუბარი

მეგობარი ეკითხება ექიმს:

— რა ხშირათა მართავ მეგობარო, სადილებს ხომ დიდძალი ფული დაგეხარჯება?

— სრულებითაც არა! სადილს თვითონ ჩემი ცოლი ამზადებს და მგონია, რომ ამ სადილებზედ სიარულით შენც ბევრჯელ გამხდარხარ ავად.

— მერე?

— მერე, ისა, რომ რაც სადილებზედ მეხარჯება, ათ იმოდენას საექიმოთ მაძლევენ.

—

მამა შვილს ეუბნება:—მოემზადე ამ საათში უნდა გაგროზგო!

სანამ მამა წკეპელას შემოიტანდა, უმაწვილმა ზურგზედ ბალიში დაიკრა.

— რას შვრები მაგას? შეეკითხა მამა.

— არაფერს. შენ არ მითხარ მოემზადე უნდა გაგროზგოთო?—აი მეც მოვემზადე.

—

სქელი კაცის ჯავრი.

— ამაზედ მეტი აღარ შემიძლიან! მეტი გზა არ არის უნდა საკუთარი ცხენები გავიჩინო!

— მერე რათ გინდა?

— რათ მინდა და იმიტომ, რომ მეეტლებს აღარ დავუყევარ, ერთი ხუთის ოდენა ხარ და ღამის ჯარიმა გარდაგვახდევინონო.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 ნოემბერი

**შანხაი** ხმა გავრცელდა, რომ ჩუზანის კუნძულებზე ინგლისელებმა თავიანთი ბაირაღი ამართესო, ეს ამბავი არავის სჯერა. ბრიტანიის საელჩოს ამ ამბის შესახებ არავითარი ამბავი არ მიუღია. უეჭველია ეს ამბავი იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ გემის ნიშანი შეცდომით ბაირაღად მოეჩვენათ.

**პარიზი.** პარიზის სამხედრო გუბერნატორის მიერ დღეს გამოცემულ უწყებაში გენერალი ცურლინდენი ფორმალურად უარჰყოფს გაზეთების მიერ გავრცელებულს ამბავს, ვითომ პიკარის შესახებ მოქმედებაში იგი ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებით. ცურლინდენს არავითარი ბრძანება არ მიუღია არც რესპუბლიკის პრეზიდენტისა და არც მთავრობისაგან. ცურლინდენმა მხოლოდ აასრულა კანონი.

**პარიზი.** ბარბიეს, სენატის რესპუბლიკელთა დასების მინდობილობით, ბჭობა ჰქონდა დიუპუისთანა და ფრეისინესთან შესახებ იმისა, რომ სამხედრო სასამართლომ გადასდოს პიკარის საქმის გარჩევა. დიუპუიმ განაცხადა, რომ გადავსწყვიტე ხვალ პასუხი გავსცე პალატას ამ საქმის შესახებ და ამიტომ ვსთხოვ სენატს დაუცადოს ჩემს პასუხსაო. ბარბიე რომ გავიდა დარბაზიდან, დიუპუისა, ფრეისინეს და ლებრეს ბჭობა ჰქონდათ ხვალინდელ დეკლარაციის შესახებ. ჰფიქრობენ, რომ მთავრობა შეუძლებლად მიიჩნევს სამხედრო სასამართლოს მოწოდების დრის გადადებასაო.

# განცხადებანი

ჩვენი „კრებული“ მეორე წელიწადში გადადგა. ამ მეორე წლის პირველი ნომერი ენკენისთვეში უნდა გამოსულიყო, მაგრამ ჩვენის ჟურნალისვე სასიკეთოდ განზრახ შევაჩერეთ გამოცემა რამოდენიმე თვით და მხოლოდ იანვრიდან განვაგრძებთ გამოცემას და წელიწადიც მომავალი 1899 წ. იანვრიდან დაიწყება. დღემდი ჩვენ უფლება არა გვქონდა, რომ, გარდა ყოველგვარ ჩვენი ნაწერისა, სხვების რამე დაგვებეჭდა ჩვენს „კრებულში“, დღეს-კი ნება გვაქვს, რომ სხვებისაც ვბეჭდოთ ხოლმე და უკეთესმა ჩვენმა მწერლებთაგანმა კიდეც აღგვითქვეს დახმარება. ფასი იგივე დარჩება: გაგზავნით ფოსტით—**7** მ., ადგილობრივ გაუგზავნელად—**6** მ., ნახევარის წლით **4** მ, თვიურად და კერძო ნომერი—60 კ.

რედაქცია გადატანილ იქმნება დაბა ყვირილაში (ზესტაფონში) ლამბაშიძის სახლებში.

კერძო განცხადება ყოველ საგანზე მიიღება ჩვეულებრივზე იაფად და განცხადების ფულის გადახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილ.

დასასრულ მადლობას ვუძღვნი მათ, ვინც წარსულ წელში გვეხმარებოდა და იმედია, რომ არც მომავალში მოგვაკლებენ თანაგრძნობას.

მომავალი წლის ხელის-მოწერა უკვე დაწყებულია. ადრესი გამომწერლებისათვის: დაბა ყვირილა, „კრებულის“ რედაქცია. М. Квирилы. Редакція «Кребули» და თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

«კრებულის» რედაქტორი და გამომცემელი

(10—7) **აკაკი**

# ეფედრა

[კუზმიჩის ბალახი]

მსურველთ ეგზავნება ახალი ამ წლის მაისში მოკრეფილი, უმაღლესის ხარისხისა, რჩეული და ყვავილიანი გირვანქა 5 მან., ½ გირვანქა 2 მან. 50 კაპ.

ხოლო პირველი ხარისხისა გირვანქა 3 მ., ½ გირვანქა 1 მ. 50 კაპ. (ეგ ფასი გაუგზავნელად არის) გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც.

ადრესი: უმთავრესი საწყობი ეფედრისა გრიგორი ეფიმის ძე ეფრემოვი, ქალაქ ბუზულუკში, სამარის გუბერნიაში.

ამ ფირმას აქვს მრავალი მადლობის წერილები ეფედრის კარგს თვისებასა და ღირსებაზე.

**ЭФЕДРА**

(трава кузмича)

главный складъ эфедры Григорія Ефимовича **Ефремова**, г. Бузулукъ, Самарской губерніи.

(30—24)

# სხივი წარსულისა

ისტორიული ამბავი, დაწერილი ყმაწვილებისა და ხალხისათვის იაკობ გოგებაშვილის მიერ, გამოვიდა და ისყიდება შაურად. წმინდა შემოსავალი ამ წიგნისა მიემატება იმ ფულს, რომელიც იკრიბება მცხეთის ტაძრის განსაახლებლად. ისყიდება: ტფილისში—წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში—ბეჟანეიშვილთან, წერეთელთან და ხეთერელთან, ახალ-სენაში, ოზურგეთში და ბათომში—თავართქილაძესთან. (6—5)

Открыта подписка на **1899** годъ

**на ежедневную политическ., литературн. и экономич. газету**

# „Новости“

и на еженедѣльный художественный журналъ

## „Петербургская Жизнь“.

Изданіе **Высочайше** утвержденнаго акціонернаго общества

**„Гуттенбергъ“.**

Въ газетѣ и журналѣ принимали и принимаютъ участіе:

Анненкова-Бернаръ, Н. П.—Антокольскій, М. М.—Баранцевичъ, К. С.—Бильбасовъ, В. А.—Билибинъ, В. В.—Бильдерлингъ, А. А.—Бирюковичъ, В. В.—Боборыкинъ, П. Д.—Быстренинъ, В. М.—Бѣловъ, В. Д.—Василевскій, И. Ѳ. (Буква).—Ватсонъ, М. К.—Вейнбергъ, П. И.—Венгеровъ, С. А.—Венгерова, З. А.—Верещагинъ, В. В.—Веселовская, А. А.—Веселовскій. А. Н.—Веселовскій, Ю. А.—Глинскій. Б. Б.—Головачевъ. А. А.—Гольдштейнъ, М. Ю. (CARDANUS).—Далматовъ, В. П.—Исаевъ, А. А.—Капнистъ, Ида, гр.—Кауфманъ, Ил. И.—Карабчевскій, Н. П.—Кулишеръ, М. И.—Красновъ, Ю.—Кудряшевъ, М. И.—Кюи, Ц. А.—Ламанскій, Е. И.—Ламанскій, С. И.—Л... А. В.—Ломброзо Чеваре.—Максимовъ, С. В.—Мантегацца-Паоло.—Михневичъ, Мордовцевъ, Д. Л.—Недзвѣцкій, В. И.—Немировичъ-Данченко, В. И.—Никитинъ, Н.—Никольскій, Д. П.—Оболенскій, Л. Е.—Оршанскій, И. Г.—Острогорскій, В. П.—Петровъ, М. П.—Песковскій. М. Л.—Петрушевскій, Ѳ. Ѳ.—Пименова, Э. К.—Писаревъ, М. И.—Плющикъ-Плющевскій Я. А.—Покровская, М. И.—Полонскій, Л. А.—Радловъ, Э. Л.—Радцигъ, А. А.—Русанова, К. П.—Сафоновъ, С. А. (Печоринъ),—Селивановъ, Н. А.—Случевскій, В. К.—Соловьевъ, Вл. С.—Соловьевъ, Е. А. (Скриба).—Сологубъ, Ѳ.—Спасовичъ. В. Д.—Стасовъ, В. В.—Стулли, Ѳ. С.—Трачевскій, А. С.—Умановъ-Каплуновскій, В. В.—Ферреро Гульельмо.—Фирсовъ, Н. Н. (Рускинъ).—Фламмаріонъ Камиллъ.—Хвольсонъ, О. Д.—Чуйко, В. В.—Чюмина, О. Н.—Энгельгардтъ, М. А.

## Подписка на „Новости“ въ 1899 году.

**на 1-е (большое) изданіе:**

| | на годъ р. к. | 11 м. р. к. | 10 м. р. к. | 9 м. р. к. | 8 м. р. к. | 7 м р. к. | 6 м. р. к. | 5 м. р. к. | 4 м. р. к. | 3 м. р. к. | 2 м. р. к. | 1 м. р. к. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Безъ доставки | 14 50 | 13 — | 12 — | 10 50 | 9 80 | 9 — | 8 — | 6 80 | 5 50 | 4 — | 2 80 | 1 50 |
| Съ дост. по гор. почтѣ | 16 — | 15 — | 13 50 | 12 — | 11 — | 10 — | 9 — | 7 50 | 5 80 | 4 50 | 3 30 | 1 80 |
| Съ перес. иногородн. | 17 — | 15 50 | 14 50 | 13 50 | 12 10 | 11 30 | 10 — | 8 50 | 7 — | 5 50 | 4 — | 2 — |
| За границу . . . | 26 20 | 24 50 | 23 — | 21 — | 18 50 | 16 — | 14 — | 12 — | 10 — | 8 — | 6 — | 3 50 |

**на 2-е (малое) изданіе:**

| | на годъ р. к. | 11 м. р. к. | 10 м. р. к. | 9 м. р. к. | 8 м. р. к. | 7 м. р. к. | 6 м. р. к. | 5 м. р. к. | 4 м. р. к. | 3 м. р. к. | 2 м. р. к. | 1 м. р. к. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Съ дост. по гор. почтѣ | 9 — | 8 50 | 8 — | 7 50 | 7 — | 6 50 | 6 — | 5 — | 4 — | 3 — | 2 — | 1 — |
| Съ перес. иногородн. | 10 — | 9 50 | 9 — | 8 50 | 8 — | 7 — | 6 — | 5 — | 4 — | 3 — | 2 — | 1 — |
| За границу . . . | 18 — | — | — | — | — | — | 10 — | — | — | 6 — | — | 2 — |

**Подписывающіеся на «Новости» вмѣстѣ съ «Петербургскою Жизнью»** доплачиваютъ къ подписной цѣнѣ на «Новости» (каждаго срока) только одинъ рубль.

Разсрочка платежа годовой подписной цѣны допускается: для служащихъ—по третямъ черезъ ихъ казначеевъ, а для другихъ лицъ—по соглашенію съ конторою.

Деньги и письма адресуются: Петербургъ, въ контору газеты «Новости» Б. Морская, № 17. Адресъ для телеграммъ: Петербургъ, «Новости».

Подписка на «Новости» вмѣстѣ съ «Петербургской Жизнью» представляетъ ту выгоду, что подписчикъ за прибавку ОДНОГО рубля къ подписной цѣнѣ газеты пріобрѣтаетъ еженедѣльно иллюстрированный журналъ, заключающій въ себѣ обширный беллетристическій, научный и др. матеріалъ и художественныхъ воспроизведеній событій дня. Прибавка одного рубля не покрываетъ даже расходовъ на пересылку журнала, стоющую болѣе рубля; такимъ образомъ, подписчикъ получаетъ журналъ даромъ при нѣкоторой доплатѣ со стороны редакціи къ стоимости пересылки.

**Условія отдѣльной подписки на иллюстрированный журналъ**

## „Петербургская Жизнь“

*Подписная цѣна журнала:* безъ доставки и пересылки: на 1 годъ 5 р., на 6 мѣс.—3 р., на 3 мѣс.—1 руб. 75 коп. Съ доставкою и пересылкою: на годъ—6 р., на 6 мѣс.—3 р., на 2 мѣс.—1 р.

**Журналъ выходитъ по воскресеньямъ.**

При конторѣ газ. „Новости“ существуетъ **КНИЖНЫЙ МАГАЗИНЪ** услугами котораго подписчики «Новостей» пользуются на льготныхъ условіяхъ.

(8—1) Отвѣтственный редакторъ-издатель *О. К. Нотовичъ.*